ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში განცალკევებულად არის ასახული მიმდინარე და გრძელვადიანი აქტივები და მოკლევადიანი და გრძელვადიანი ვალდებულებები. ინსტრუქციით დადგენილი აუცილებელი მუხლების გარდა, დამატებითი მუხლების წარდგენის საჭიროება არ არის, ხოლო საცნობარო ანგარიშებზე ასახული ინფორმაციები გამჟღავნებულია. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდით

2. საადრიცხო პოლიტიკების ცვლილებების აღწერილობა, რომლებიც აისახა ახალი საადრიცხო პოლიტიკის რესტროსპექტული გამოყენების სახით; ასევე, წინა საანგარიშგებო პერიოდის შესადარის ინფორმაციასთან დაკავშირებით ანალოგიური მონაცემები

საანგარიშო პერიოდში საადრიცხო პოლიტიკის ცვლილების შედეგად რეტროსპექტულ გადაანგარიშება არ მომხდარა.

3. წინა პერიოდ(ებ)ის არსებითი შეცდომების აღწერილობა, რომლებიც გასწორდა რეტროსპექტული გადაანგარიშების შედეგად; ასევე, წინა საანგარიშგებო პერიოდის შესადარის ინფორმაციასთან დაკავშირებული ანალოგიური მონაცემები

კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგებაში მოხდა რეტროსპექტული გადაანგარიშება **თანხით 200 ლარი**, აქედან (საკრებულო), აღმასრულებელი ორგანოს (მერიის) ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშში საბიუჯეტო სახსრების დაფინანსების კუთხით დაბრუნდა **200 ლარი**, რომელიც გამოიწვია გადარიცხული სოციალური თანხის დაბრუნებამ საბანკო ანგარიშზე, მოხდა გაუნაწილებელი მოგების გაზრდა 200 ლარით.

ასევე, ა(ა)იპ საჩხერის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის, ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში მოხდა შეცდომის გასწორება, რომელიც გამოიწვია არასწორმა აღრიცხვამ, საბიუჯეტო სახსრების ნამეტ დებიციტიდან გადმოტანილი იქნა არასაბიუჯეტო სახსრებში 120 ლარი.

**მიმდინარე ინვესტიციები და მოკლევადიანი დებიტორული დავალიანებები- შენიშვნა 2 ა--
თან დაკავშირებით საადრიცხო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება**

დებიტორული დავალიანების სახით მოთხოვნის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც სავარაუდოა მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღნიშნული

შენიშვნა 2-ში – ფულადი სახსრები და ეკვივალენტები – აისახება ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ხაზინის ერთიან ანგარიშზე განთავსებული ფულადი სახსრების და მათი

ეკვივალენტების შესახებ ეროვნულ ვალუტაში, ასევე, ა(ა)იპ-ების არასაბიუჯეტო (საკუთარი) ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში.

მატერიალური მარაგები- შენიშვნა #3 -თან დაკავშირებით სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება

მატერიალური მარაგების აღრიცხვას იწარმოება სსბასს 12 „მატერიალური მარაგები“ შესაბამისად. მატერიალური მარაგები მოიცავს მცირეფასიან გრძელვადიან არაფინანსურ აქტივებს და სხვა დანარჩენ მატერიალურ მარაგებს, მოხმარებად ნედლეულსა და მასალებს, შესაკეთებელ მასალებს, მანქანა-დანადგარების სათადარიგო ნაწილებს, გარდა ისეთი სათადარიგო ნაწილებისა და სხვა მარაგებს. მარაგის აღიარება ხდება იმ თარიღით, როდესაც ხორციელდება აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ოპერაციები. მატერიალური მარაგების შეფასებისას გამოიყენება თვითღირებულების მეთოდი. მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს შეძენის (ტრანსპორტირებისა და სხვა სავალდებულო ხარჯების გათვალისწინებით) დანახარჯს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში.

მატერიალური მარაგის საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება საქონლის განაწილება, ან მასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევა. მცირეფასიანი გრძელვადიანი აქტივების სინთეზური აღრიცხვა ისეთი წესებით და პირობებით წარმოებს, როგორც სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგების, ხოლო ანალიზური აღრიცხვა და ჩამოწერის პროცედურები ისეთი ფორმით არის დადგენილი, როგორც ძირითადი აქტივების შემთხვევაში. საცნობარო ანგარიშები ხარჯებში ჩამოწერილი მატერიალური მარაგების აღრიცხვისთვის გამოიყენება და აისახება მატერიალური მარაგების ექსპლუატაციიდან ამოღებამდე. ანგარიშების თარიღისთვის 010 საცნობარო ანგარიშზე ასახულია ექსპლუატაციაში გადაცემული ხარჯებში აღიარებული მცირეფასიანი გრძელვადიანი აქტივი-2 297 284 ლარი.

შენიშვნა 4-ში – სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივები

სხვა მიმდინარე აქტივები საანგარიში პერიოდში წარმოშობილია წინასწარი გადახდებით. წინასწარგადახდილი აქტივის შეფასება ხდება გადახდილი თანხის მიხედვით. წინასწარი

გადახდებით ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან საკასო ხარჯების გაწევის ყველა მოთხოვნა შესრულებულია. ავანსების დამოწმება ხდება დადგენილ ვადებში და საანგარიშო პერიოდში გადავადების შემთხვევები არ ყოფილა. საინვენტარიზაციო კომისიის დასკვნის საფუძველზე ხდება შეფასება **სსბასს 19 - ანარიცხები, პირობითი აქტივები და პირობითი ვალდებულებები**, მიხედვით თუ რამდენად რეალურია მოთხოვნები დებიტორული დავალიანების სახით. ანგარიშგების თარიღისთვის მოთხოვნები წინასწარი გადახდებით რეალურია და ანარიცხები, როგორც საექვო დებიტორული დავალიანების შემთხვევაში, არ აღიარებულა. საინვენტარიზაციო კომისიის მიერ დანაკლისები არ გამოვლენილა მოთხოვნები დანაკლისებით არ ერიცხება. ანგარიშგების თარიღისთვის არ ირიცხება პირობითი აქტივები და არც ხარჯებში ჩამოწერილი უიმედო დებიტორული დავალიანებები, რომლის აღრიცხვა ხდება საცნობარო ანგარიშების მეშვეობით.

შენიშვნა 5-ში – გრძელვადიანი ფინანსური აქტივები

აისახება ინფორმაცია გრძელვადიანი ფინანსური აქტივების მიმართ გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკაზე, გრძელვადიანი ფინანსური აქტივების მთლიან ნაშთებსა და საბალანსო ღირებულების საწყისსა და საბოლოო ნაშთებზე, დაგროვილი გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. ასევე, ინფორმაცია გრძელვადიანი ფინანსური აქტივების საანგარიშგებო პერიოდში მოძრაობაზე.

ძირითადი აქტივები - შენიშვნა #6 -თან დაკავშირებით სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება

ძირითადი აქტივი არის გრძელვადიანი მატერიალური აქტივი, რომლებიც გამოიყენება საქონლის ან მომსახურების მიწოდებაში ან ადმინისტრაციული მიზნებისთვის. ძირითადი აქტივის აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, თუ:

მოსალოდნელია მასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალის მიღება;

შესაძლებელია მისი საიმედო შეფასება;

ღირებულება 500 ლარი და მეტია.

ძირითადი აქტივები ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში გამოისახება 2021 წლის 1 იანვრისათვის არსებული ღირებულებით, რომელიც ყოველწლიურად მცირდება ცვეთის თანხით.

ძირითად აქტივებს ცვეთა ერიცხებათ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 2 დეკემბრის ბრძანებით #289 „**საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ცვეთის/ამორტიზაციის ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის შესახებ**“ დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად. კანონმდებლობით ცვეთა არ ერიცხება საბიბლიოთეკო ფონდებს, კულტივირებულ აქტივებს, დაუმთავრებელ აქტივებს, დარიცხული ცვეთა ტარდება ხარჯებში, როგორც ძირითადი კაპიტალის მოხმარება, ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის შესაბამისად.

ძირითადი აქტივების მოვლა შენახვისა და რემონტის დანახარჯები, რომელიც არ ზრდის აქტივის ღირებულებას, მიჩნეულია ხარჯებად, ხოლო თუ მისი არსებითი გაუმჯობესება და რეკონსტრუქცია ხდება, რომელიც ახანგრძლივებს მის სასარგებლო მომსახურებას, განიხილება ძირითადი აქტივის ზრდა.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ძირითადი აქტივი აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი. 2021 წლის 1 იანვრამდე ნულოვანი ღირებულების მქონე ექსპლუატაციაში მყოფი აქტივი აღირიცხულია საცნობარო ანგარიშებზე, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მისი ღირებულება შეადგენს **2 127 658** ლარს.

არამატერიალური აქტივები შენიშვნა N8 --თან დაკავშირებით სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება

არამატერიალური აქტივების აღრიცხვა წარმოებს IPSAS 31-ის - „არამატერიალური აქტივები“ - შესაბამისად. არამატერიალური აქტივები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით - მაშინ, როცა აღნიშნული აქტივი შეძენილია გაცვლითი ოპერაციის გზით ან წარმოადგენს ერთეულის მიერ შექმნილ აქტივს, ან სამართლიანი (რეალური) ღირებულებით, თუ არამატერიალური აქტივის შეძენა ხდება არაგაცვლითი ოპერაციის გზით, გარდა იმ შემთხვევისა როცა არაგაცვლითი ოპერაციებით არამატერიალური აქტივები საჯარო სექტორის

ერთეულიდან მიიღება. ამ შემთხვევაში არამატერიალური აქტივების შეფასება ხდება გადმომცემი ერთეულის მიერ ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული თვითღირებულების ოდენობით ან ღირებულების განსაზღვრისათვის გამოყენებული სხვა თანხით, ხოლო სხვა ერთეულებიდან მიღების შემთხვევებში - მოცემული აქტივის სამართლიანი (რეალური) ღირებულებით.

ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, ანგარიშგების თარიღისათვის არამატერიალური აქტივების შემდგომი შეფასება ხდება თვითღირებულების მოდელის გამოყენებით - თავდაპირველი ღირებულება ყოველწლიურად მცირდება ამორტიზაციის და გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) თანხებით. შემდგომი დანახარჯები, აღიარდება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ხარჯებად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი დანახარჯების გაწევის შედეგად იზრდება/უმჯობესდება აქტივის მწარმოებლურობა ან/და ფუნქციონალურობა. არამატერიალურ აქტივს ამორტიზაცია ერიცხება სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდის გამოყენებით. სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 2 დეკემბრის N289 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ცვეთის/ამორტიზაციის ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის შესახებ“ მოცემული სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრის შესაბამისი წესები. 2021 წლის 1 იანვრისთვის რიცხული არამატერიალური აქტივის საბალანსო ღირებულება, ანგარიშგების მიზნებისთვის, მიღებული იქნა საწყის თვითღირებულებად, ცვეთის დარიცხვის წესებით განსაზღვრული გამონაკლისების გამოყენებით. ამორტიზაციის დამაგროვებელ ანგარიშზე თანხის დაგროვებით 2021 წლის ანგარიშგების თარიღისთვის საბალანსო ღირებულება

შენიშვნა 11-ში – სხვა არაფინანსური გრძელვადიანი აქტივები

აისახება ინფორმაცია სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების აღიარებასთან დაკავშირებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ, სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების ღირებულებასა და დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით მიღებულ საბალანსო ღირებულებაზე, წინა საანგარიშგებო პერიოდის შესაღარი ინფორმაციასთან ერთად, ასევე, საანგარიშგებო პერიოდში სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების მიღების/გასვლის გათვალისწინებით, ღირებულების საწყის და საბოლოო ნაშთებზე, დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის საწყის და

საბოლოო ნაშთებზე საანგარიშგებო პერიოდში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით.

შენიშვნა 12-ში – მოკლევადიანი და გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები

აისახება ინფორმაცია მოკლევადიანი და გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებების აღიარებასთან დაკავშირებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ, მოკლევადიანი და გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებების საწყისი და საბოლოო ნაშთების შესახებ, მათი ზრდის/კლების შესახებ საკასო და სხვა ოპერაციების შედეგად და სასესხო ხელშეკრულებების მოკლე აღწერილობების შესახებ.

კრედიტორული დავალიანებები, ანარიცხები და სხვა ვალდებულებები -შენიშვნა N13 -თან დაკავშირებით სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის გაშლავნება

კრედიტორული დავალიანებები, ანარიცხები და სხვა ვალდებულებები აღირიცხება **სსბასს 19 – ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები**, შესაბამისად და საბიუჯეტო კლასიფიკაციის, ანგარიშთა გეგმის და სსბასს გამოყენების წესის შესახებ ინსტრუქციების მოთხოვნების გათვალისწინებით.

საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრული კომუნალური მომსახურების და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სხვა უწყვეტი მომსახურების შესყიდვისას, დასაშვებია ოპერაციების აღრიცხვა პირველადი აღრიცხვის დოკუმენტების მიღების/შექმნის თარიღით და მიკუთვნება იმ პერიოდის ანგარიშგებაზე, რომელ პერიოდშიც მოხდა მათი მიღება/შექმნა.

ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია მოკლევადიან, გრძელვადიან და სხვა კრედიტორულ დავალიანებად, რომელიც უნდა დაიფაროს შესაბამისად ბიუჯეტის ასიგნებების ფარგლებში, ასევე კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში აღებული ფინანსური ვალდებულების მიხედვით.

კრედიტორული დავალიანება შედგება წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებებისაგან დარიცხვის ოპერაციებით და საკასო შესრულებით „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ პრინციპის მიხედვით. მასზე სრულად წარმოდგენის მიზნით ანალიზური აღრიცხვით

გამოყენებულია მისი იდენტიფიცირება თანხების მიმღების, წარმოშობის წლების, საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად, ხარჯების კატეგორიების მიხედვით.

შემოსავლები გადასახადებიდან, გრანტებიდან და სხვა, შენიშვნა N14 _თან დაკავშირებით სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება

არაგაცვლითი ოპერაციები, მათ შორის სასაქონლო ფორმით, მიღებული შემოსავლების აღრიცხვა წარმოებს დარიცხვის მეთოდით, იგი იწარმოება **სსბასს 23 – „შემოსავალი არაგაცვლითი ოპერაციებიდან“**, საფუძველზე. შემოსავლები აღიარდება, როდესაც სავარაუდოა ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალის მიღება და მისი საიმედოდ შეფასება შესაძლებელია. შემოსავლად აღიარება ხდება უპირობო მოთხოვნების წარმოქმნის შემთხვევაში. არის შემდეგი სახის შემოსავლები არაგაცვლითი ოპერაციებიდან:

1. შემოსავლები შიდა მიმდინარე და კაპიტალური ტრანსფერებით - საბიუჯეტო დაფინანსება;
2. ფულადი და სასაქონლო ფორმით მიღებული გრანტები ;
3. შემოსავლები გარე ტრანსფერების სახით კერძო სექტორიდან უსასყიდლოდ აქტივების მიღებით და პირგასამტეხლოები საკუთარი სახსრებით განხორციელებულ სამეურნეო ოპერაციებზე ხელშეკრულების პირობების დარღვევისთვის.

შემოსავლები გაცვლითი ოპერაციებიდან შენიშვნა N15 თან დაკავშირებით სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება

გაცვლითი ოპერაციებისა და მოვლენების შედეგად წარმოშობილი შემოსავლის აღრიცხვა დარიცხვის მეთოდით წარმოებს **სსბასს 9 – “შემოსავალი გაცვლითი ოპერაციებიდან”**, განსაზღვრული წესის და მოთხოვნების მიხედვით.

გაცვლითი ოპერაციით მიღებული შემოსავლების კლასიფიცირების კრიტერიუმად გამოყენებულია საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაცია.

გაუფასურების ხარჯები და გაუფასურების უკუგატარებით შემოსავლები შენიშვნა N16 თან დაკავშირებით სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება

აქ ასახულია ძირითადი აღირიცხება ძირითადი აქტივების გაუფასურების შედეგად წარმოქმნილი ხარჯები სხვა ეკონომიკური ნაკადებიდან და მატერიალური მარაგების ღირებულების შემცირების, გაუფასურების ხარჯები.

დარიცხული ხარჯები, გრანტები და სუბსიდიები_შენიშვნა N17 თან დაკავშირებით საადრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება

მომსახურების მიღების ოპერაცია ხორცილდება ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით (როცა მომსახურების საფუძველია ხელშეკრულება) ან/და მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული პირობებით (როცა მომსახურების საფუძველია კანონმდებლობა). ხელშეკრულების საფუძველზე მომსახურებით ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდებში, რომლებშიც ხდება მომსახურების მუნიციპალიტეტის ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით, წარმოდგენილია როგორც საოპერაციო ხარჯები და კლასიფიცირებულია საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად. ის იყოფა როგორც მიმდინარე ხარჯებად და წინა წელს აღიარებული ნაშთებიდან გასაწევ ხარჯებად. ხარჯები აერთიანებს საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრულ შრომის ანაზღაურების ხარჯებს, საქონელსა და მომსახურებას, გრანტებს, გარე ტრანსფერებსა და სუბსიდიებს, სხვა ხარჯებს და სოციალური უზრუნველყოფის ხარჯებს. გარდა ამისა, აღნიშნულ კატეგორიაში მოცემულია ისეთი ხარჯები, როგორებიცაა შიდა ტრანსფერები, ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები, საექვო მოთხოვნების/ღირებულების შემცირების/გაუფასურების ხარჯები, არაფინანსური აქტივების გაყიდვებიდან მიღებული დეფიციტიფინანსური ხარჯები.

შენიშვნა 21-ში – ფაქტობრივი თანხებისა და საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობებიდან წმინდა ფულადი სახსრების მოძრაობის შეჯერება (შედარება) – აისახება ინფორმაცია ბიუჯეტის საკასო შესრულებასა და ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ შესაბამისი საქმიანობების მიხედვით, ასევე განსხვავებებზე ბიუჯეტის ფაქტობრივ თანხებსა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების ფაქტობრივ თანხებს შორის, შედარების მეთოდის საფუძველზე.

ს.ს.ი.პ - თვითმმართველი თემი საჩხერის მუნიციპალიტეტის
ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნები

ფინანსური ანგარიშგების დროს გამოყენებული იქნა შემდეგი ნორმატიული აქტები:

- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასსების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ ინსტრუქცია; (ბოლო ცვლილება ბრძანება N282 2022 წლის 23 აგვისტო).
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 15 იანვრის N17 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის და მისი გამოყენების შესახებ“ ინსტრუქცია; (ბოლო ცვლილება, ბრძანება N281 2022 წლის 23 აგვისტო).
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 4 თებერვლის N24 ბრძანებით დამტკიცებული საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესის შესახებ“ ინსტრუქცია;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N424 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ“ (ბოლო ცვლილება ბრძანება N439 2022 წლის 30 დეკემბერს).
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 31 დეკემბრის N 364 ბრძანებით დამტკიცებული „ საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების და ინვენტარიზაციის შედეგების საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე აღრიცხვა-ანგარიშგებაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქცია.
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 2 დეკემბრის N 289 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ცვეთის/ამორტიზაციის ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქცია. (ბოლო ცვლილება ბრძანება N283 2022 წლის 23 აგვისტო).

- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის #449 ბრძანება საბიუჯეტო ორგანიზაციების პირველადი საბუღალტრო დოკუმენტების სააღრიცხვო რეგისტრების ფორმების დამტკიცების თაობაზე.

კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

კონსოლიდაციას ექვემდებარება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი მხარჯავი საჩხერის მუნიციპალიტეტის საკანონმდებლო ორგანოს (საკრებულო), აღმასრულებელი ორგანოს (მერიის) და ა. (ა). ი. პ - ბის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები. კონსოლიდაცია მომზადდა საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) მოთხოვნების შესაბამისად:

IPSAS 1 ფინანსური ანგარიშგების წარდგენა

IPSAS 2 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

IPSAS 3 სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები

IPSAS 4 უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგები

IPSAS 5 სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

IPSAS 9 შემოსავლები გაცვლითი ოპერაციებიდან

IPSAS 12 მატერიალური მარაგები

IPSAS 13 იჯარა

IPSAS 14 ანგარიშგების თარიღის შემდგომი მოვლენები

IPSAS 16 საინვესტიციო ქონება

IPSAS 17 ძირითადი აქტივები

IPSAS 19 ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

IPSAS 20 დაკავშირებულ მხარეთა შესახებ განმარტებითი შენიშვნები

IPSAS 21 ფულადი სახსრების არწარმომქმნელი აქტივების გაუფასურება

IPSAS 23 შემოსავალი არაგაცვლითი ოპერაციებიდან (გადასახადები და ტრანსფერები)

IPSAS 24 ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციის წარდგენა ფინანსურ ანგარიშგებაში

IPSAS 26 ფულადი სახსრების წარმომქმნელი აქტივების გაუფასურება

IPSAS 31 არამატერიალური აქტივები

IPSAS 32 შეღავათიანი მომსახურების შეთანხმებები: უფლების გადამცემი

IPSAS 34 ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

IPSAS 35 კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

IPSAS 36 მეკავშირე ერთეულებსა და ერთობლივ საქმიანობაში ინვესტიციები

IPSAS 37 ერთობლივი შეთანხმებები

IPSAS 39 დაქირავებულითა სარგებელი

კონსოლიდაციის პრინციპები და ერთეულების ჩამონათვალი

2023 წლის კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური ანგარიში მოიცავს შემდეგი მხარჯავი დაწესებულებების ფინანსურ ანგარიშგებას:

1. საჩხერის მუნიციპალიტეტის საკანონმდებლო ორგანოს (საკრებულო), აღმასრულებელი ორგანოს (მერიის) ერთიანი ფინანსური ანგარიში.
2. ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი
3. ა(ა)იპ დავით თორაძის სახელობის სამუსიკო სკოლა
4. ა(ა)იპ სოსო წერეთლის სახელობის სამხატვრო სკოლა
5. ა(ა)იპ საჩხერის სასპორტო სკოლა
6. ა(ა)იპ ოლიმპიური ჩემპიონის ლაშა ტალახაძის სახელობის საჩხერის ძალოსნობის დარბაზი
7. ა(ა)იპ ობოლა ციმაკურიძის სახელობის საჩხერის კულტურის ცენტრი
8. ა(ა)იპ სოფელ სარეკის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი
9. ა(ა)იპ მედეა ჯაფარიძის სახელობის არგვეთის კულტურის სახლი
10. ა(ა)იპ პროფესორ ჯურხა ნადირაძის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
11. ა(ა)იპ აკადემიკოს კონსტანტინე და მხატვარ სოსო წერეთლების სახელობის მუზეუმი
12. ა(ა)იპ აკაკი წერეთლის სახელობის საჩხერის ბიბლიოთეკა
13. ა(ა)იპ საცურაო აუზი
14. ა(ა)იპ საჩხერის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი
15. ა(ა)იპ გაერთიანებული საბავშვო ბაღი
16. ა(ა)იპ ზურმუხტი

1. ძირითადი საადრინცხო პოლიტიკების აღწერილობები

2023 წლის კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია სსიპ თვითმმართველი ერთეული საჩხერის მუნიციპალიტეტის მიერ, ადგილობრივი ბიუჯეტის

დაფინანსებაზე მყოფი ა(ა)იპ-ების მიერ წარმოდგენილი ნაერთი წლიური ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე. ნაერთი წარმოდგენილია დარიცხვის მეთოდით ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 4 თებერვლის #24 ბრძანებით დამტკიცებული დანართი 1 -ის მიხედვით. საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) საფუძველზე.

ფინანსურ ანგარიშგებაში აღწერილია საანგარიშგებო პერიოდში მომხდარი ყველა სამეურნეო ოპერაციისა და მოვლენის ფინანსური შედეგი, რომლებიც დაჯგუფებულია მათი ეკონომიკური მახასიათებლების მიხედვით.

ფინანსური ანგარიშგების ელემენტებია:

- ა) აქტივები;
- ბ) ვალდებულებები;
- გ) წმინდა აქტივები/კაპიტალი;
- დ) შემოსავლები;
- ე) ხარჯები;
- ვ) წმინდა აქტივებში /კაპიტალში განხორციელებული სხვა ცვლილებები;

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე - მომდევნო საბიუჯეტო წელს გამოყოფილი რესურსებით განაგრძობს ფუნქციების შესრულებას.

ფინანსური ანგარიშგების პაკეტი მოიცავს:

- ა) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას;
- ბ) ფინანსური შედეგების ანგარიშგებას;
- გ) წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას;
- დ) ბიუჯეტისა და რეალური თანხების შედარებას,
- ე) განმარტებითი შენიშვნას.

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია გასული პერიოდის შესადარისი ინფორმაცია, მიმდინარე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი ყველა რიცხობრივი მონაცემის შესაბამისად.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში განცალკევებულად არის ასახული მიმდინარე და გრძელვადიანი აქტივები და მოკლევადიანი და გრძელვადიანი ვალდებულებები. ინსტრუქციით დადგენილი აუცილებელი მუხლების გარდა, დამატებითი მუხლების წარდგენის საჭიროება არ არის, ხოლო საცნობარო ანგარიშებზე ასახული ინფორმაციები გამჟღავნებულია. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდით

2. სააღრიცხვო პოლიტიკების ცვლილებების აღწერილობა, რომლებიც აისახა ახალი სააღრიცხვო პოლიტიკის რეტროსპექტული გამოყენების სახით; ასევე, წინა საანგარიშგებო პერიოდის შესადარის ინფორმაციასთან დაკავშირებით ანალოგიური მონაცემები

საანგარიშო პერიოდში სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების შედეგად რეტროსპექტულ გადაანგარიშება არ მომხდარა.

3. წინა პერიოდ(ებ)ის არსებითი შეცდომების აღწერილობა, რომლებიც გასწორდა რეტროსპექტული გადაანგარიშების შედეგად; ასევე, წინა საანგარიშგებო პერიოდის შესადარის ინფორმაციასთან დაკავშირებული ანალოგიური მონაცემები

კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგებაში მოხდა რეტროსპექტული გადაანგარიშება **თანხით 200 ლარი**, აქედან (საკრებულო), აღმასრულებელი ორგანოს (მერიის) ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშში საბიუჯეტო სახსრების დაფინანსების კუთხით დაბრუნდა **200 ლარი**, რომელიც გამოიწვია გადარიცხული სოციალური თანხის დაბრუნებამ საბანკო ანგარიშზე, მოხდა გაუნაწილებელი მოგების გაზრდა 200 ლარით.

ასევე, ა(ა)იპ საჩხერის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის, ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში მოხდა შეცდომის გასწორება, რომელიც გამოიწვია არასწორმა აღრიცხვამ, საბიუჯეტო სახსრების ნამეტ დებიციტიდან გადმოტანილი იქნა არასაბიუჯეტო სახსრებში 120 ლარი.

**მიმდინარე ინვესტიციები და მოკლევადიანი დებიტორული დავალიანებები- შენიშვნა 2 ა--
თან დაკავშირებით სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება**

დებიტორული დავალიანების სახით მოთხოვნის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც სავარაუდოა მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღნიშნული

შენიშვნა 2-ში – ფულადი სახსრები და ეკვივალენტები – აისახება ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ხაზინის ერთიან ანგარიშზე განთავსებული ფულადი სახსრების და მათი

ეკვივალენტების შესახებ ეროვნულ ვალუტაში, ასევე, ა(ა)იპ-ების არასაბიუჯეტო (საკუთარი) ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში.

მატერიალური მარაგები- შენიშვნა #3 -თან დაკავშირებით სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება

მატერიალური მარაგების აღრიცხვას იწარმოება სსბასს 12 „მატერიალური მარაგები“ შესაბამისად. მატერიალური მარაგები მოიცავს მცირეფასიან გრძელვადიან არაფინანსურ აქტივებს და სხვა დანარჩენ მატერიალურ მარაგებს, მოხმარებად ნედლეულსა და მასალებს, შესაკეთებელ მასალებს, მანქანა-დანადგარების სათადარიგო ნაწილებს, გარდა ისეთი სათადარიგო ნაწილებისა და სხვა მარაგებს. მარაგის აღიარება ხდება იმ თარიღით, როდესაც ხორციელდება აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ოპერაციები. მატერიალური მარაგების შეფასებისას გამოიყენება თვითღირებულების მეთოდი. მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს შეძენის (ტრანსპორტირებისა და სხვა სავალდებულო ხარჯების გათვალისწინებით) დანახარჯს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში.

მატერიალური მარაგის საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება საქონლის განაწილება, ან მასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევა. მცირეფასიანი გრძელვადიანი აქტივების სინთეზური აღრიცხვა ისეთი წესებით და პირობებით წარმოებს, როგორც სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგების, ხოლო ანალიზური აღრიცხვა და ჩამოწერის პროცედურები ისეთი ფორმით არის დადგენილი, როგორც ძირითადი აქტივების შემთხვევაში. საცნობარო ანგარიშები ხარჯებში ჩამოწერილი მატერიალური მარაგების აღრიცხვისთვის გამოიყენება და აისახება მატერიალური მარაგების ექსპლუატაციიდან ამოღებამდე. ანგარიშგების თარიღისთვის 010 საცნობარო ანგარიშზე ასახულია ექსპლუატაციაში გადაცემული ხარჯებში აღიარებული მცირეფასიანი გრძელვადიანი აქტივი-2 297 284 ლარი.

შენიშვნა 4-ში – სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივები

სხვა მიმდინარე აქტივები საანგარიშო პერიოდში წარმოშობილია წინასწარი გადახდებით. წინასწარგადახდილი აქტივის შეფასება ხდება გადახდილი თანხის მიხედვით. წინასწარი

გადახდებით ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან საკასო ხარჯების გაწევის ყველა მოთხოვნა შესრულებულია. ავანსების დამოწმება ხდება დადგენილ ვადებში და საანგარიშო პერიოდში გადავადების შემთხვევები არ ყოფილა. საინვენტარიზაციო კომისიის დასკვნის საფუძველზე ხდება შეფასება **სსბასს 19 - ანარიცხები, პირობითი აქტივები და პირობითი ვალდებულებები**, მიხედვით თუ რამდენად რეალურია მოთხოვნები დებიტორული დავალიანების სახით. ანგარიშგების თარიღისთვის მოთხოვნები წინასწარი გადახდებით რეალურია და ანარიცხები, როგორც საეჭვო დებიტორული დავალიანების შემთხვევაში, არ აღიარებულა. საინვენტარიზაციო კომისიის მიერ დანაკლისები არ გამოვლენილა მოთხოვნები დანაკლისებით არ ერიცხება. ანგარიშგების თარიღისთვის არ ირიცხება პირობითი აქტივები და არც ხარჯებში ჩამოწერილი უიმედო დებიტორული დავალიანებები, რომლის აღრიცხვა ხდება საცნობარო ანგარიშების მეშვეობით.

შენიშვნა 5-ში – გრძელვადიანი ფინანსური აქტივები

აისახება ინფორმაცია გრძელვადიანი ფინანსური აქტივების მიმართ გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკაზე, გრძელვადიანი ფინანსური აქტივების მთლიან ნაშთებსა და საბალანსო ღირებულების საწყისსა და საბოლოო ნაშთებზე, დაგროვილი გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. ასევე, ინფორმაცია გრძელვადიანი ფინანსური აქტივების საანგარიშგებო პერიოდში მოძრაობაზე.

ძირითადი აქტივები - შენიშვნა #6 -თან დაკავშირებით სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება

ძირითადი აქტივი არის გრძელვადიანი მატერიალური აქტივი, რომლებიც გამოიყენება საქონლის ან მომსახურების მიწოდებაში ან ადმინისტრაციული მიზნებისთვის. ძირითადი აქტივის აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, თუ:

მოსალოდნელია მასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალის მიღება;

შესაძლებელია მისი საიმედო შეფასება;

ღირებულება 500 ლარი და მეტია.

ძირითადი აქტივები ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში გამოისახება 2021 წლის 1 იანვრისათვის არსებული ღირებულებით, რომელიც ყოველწლიურად მცირდება ცვეთის თანხით.

ძირითად აქტივებს ცვეთა ერიცხებათ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 2 დეკემბრის ბრძანებით #289 „**საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ცვეთის/ამორტიზაციის ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის შესახებ**“ დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად. კანონმდებლობით ცვეთა არ ერიცხება საბიბლიოთეკო ფონდებს, კულტივირებულ აქტივებს, დაუმთავრებელ აქტივებს, დარიცხული ცვეთა ტარდება ხარჯებში, როგორც ძირითადი კაპიტალის მოხმარება, ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის შესაბამისად.

ძირითადი აქტივების მოვლა შენახვისა და რემონტის დანახარჯები, რომელიც არ ზრდის აქტივის ღირებულებას, მიჩნეულია ხარჯებად, ხოლო თუ მისი არსებითი გაუმჯობესება და რეკონსტრუქცია ხდება, რომელიც ახანგრძლივებს მის სასარგებლო მომსახურებას, განიხილება ძირითადი აქტივის ზრდა.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ძირითადი აქტივი აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი. 2021 წლის 1 იანვრამდე ნულოვანი ღირებულების მქონე ექსპლუატაციაში მყოფი აქტივი აღირიცხულია საცნობარო ანგარიშებზე, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მისი ღირებულება შეადგენს **2 127 658** ლარს.

არამატერიალური აქტივები შენიშვნა N8 --თან დაკავშირებით საადრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება

არამატერიალური აქტივების აღრიცხვა წარმოებს IPSAS 31-ის - „არამატერიალური აქტივები“ - შესაბამისად. არამატერიალური აქტივები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით - მაშინ, როცა აღნიშნული აქტივი შეძენილია გაცვლითი ოპერაციის გზით ან წარმოადგენს ერთეულის მიერ შექმნილ აქტივს, ან სამართლიანი (რეალური) ღირებულებით, თუ არამატერიალური აქტივის შეძენა ხდება არაგაცვლითი ოპერაციის გზით, გარდა იმ შემთხვევისა როცა არაგაცვლითი ოპერაციებით არამატერიალური აქტივები საჯარო სექტორის

ერთეულიდან მიიღება. ამ შემთხვევაში არამატერიალური აქტივების შეფასება ხდება გადმომცემი ერთეულის მიერ ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული თვითღირებულების ოდენობით ან ღირებულების განსაზღვრისათვის გამოყენებული სხვა თანხით, ხოლო სხვა ერთეულებიდან მიღების შემთხვევებში - მოცემული აქტივის სამართლიანი (რეალური) ღირებულებით.

ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, ანგარიშგების თარიღისათვის არამატერიალური აქტივების შემდგომი შეფასება ხდება თვითღირებულების მოდელის გამოყენებით - თავდაპირველი ღირებულება ყოველწლიურად მცირდება ამორტიზაციის და გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) თანხებით. შემდგომი დანახარჯები, აღიარდება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ხარჯებად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი დანახარჯების გაწევის შედეგად იზრდება/უმჯობესდება აქტივის მწარმოებლურობა ან/და ფუნქციონალურობა. არამატერიალურ აქტივს ამორტიზაცია ერიცხება სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდის გამოყენებით. სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 2 დეკემბრის N289 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ცვეთის/ამორტიზაციის ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის შესახებ“ მოცემული სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრის შესაბამისი წესები. 2021 წლის 1 იანვრისთვის რიცხული არამატერიალური აქტივის საბალანსო ღირებულება, ანგარიშგების მიზნებისთვის, მიღებული იქნა საწყის თვითღირებულებად, ცვეთის დარიცხვის წესებით განსაზღვრული გამონაკლისების გამოყენებით. ამორტიზაციის დამაგროვებელ ანგარიშზე თანხის დაგროვებით 2021 წლის ანგარიშგების თარიღისთვის საბალანსო ღირებულება

შენიშვნა 11-ში – სხვა არაფინანსური გრძელვადიანი აქტივები

აისახება ინფორმაცია სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების აღიარებასთან დაკავშირებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ, სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების ღირებულებასა და დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით მიღებულ საბალანსო ღირებულებაზე, წინა საანგარიშგებო პერიოდის შესადარის ინფორმაციასთან ერთად, ასევე, საანგარიშგებო პერიოდში სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების მიღების/გასვლის გათვალისწინებით, ღირებულების საწყის და საბოლოო ნაშთებზე, დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის საწყის და

საბოლოო ნაშთებზე საანგარიშგებო პერიოდში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით.

შენიშვნა 12-ში – მოკლევადიანი და გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები

აისახება ინფორმაცია მოკლევადიანი და გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებების აღიარებასთან დაკავშირებული საადრიცხვო პოლიტიკის შესახებ, მოკლევადიანი და გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებების საწყისი და საბოლოო ნაშთების შესახებ, მათი ზრდის/კლების შესახებ საკასო და სხვა ოპერაციების შედეგად და სასესხო ხელშეკრულებების მოკლე აღწერილობების შესახებ.

კრედიტორული დავალიანებები, ანარიცხები და სხვა ვალდებულებები -შენიშვნა N13 -თან დაკავშირებით საადრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება

კრედიტორული დავალიანებები, ანარიცხები და სხვა ვალდებულებები აღირიცხება **სსბასს 19 – ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები**, შესაბამისად და საბიუჯეტო კლასიფიკაციის, ანგარიშთა გეგმის და სსბასს გამოყენების წესის შესახებ ინსტრუქციების მოთხოვნების გათვალისწინებით.

საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრული კომუნალური მომსახურების და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სხვა უწყვეტი მომსახურების შესყიდვისას, დასაშვებია ოპერაციების აღრიცხვა პირველადი აღრიცხვის დოკუმენტების მიღების/შექმნის თარიღით და მიკუთვნება იმ პერიოდის ანგარიშგებაზე, რომელ პერიოდშიც მოხდა მათი მიღება/შექმნა.

ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია მოკლევადიან, გრძელვადიან და სხვა კრედიტორულ დავალიანებად, რომელიც უნდა დაიფაროს შესაბამისად ბიუჯეტის ასიგნებების ფარგლებში, ასევე კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში აღებული ფინანსური ვალდებულების მიხედვით.

კრედიტორული დავალიანება შედგება წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებებისაგან დარიცხვის ოპერაციებით და საკასო შესრულებით „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ პრინციპის მიხედვით. მასზე სრულად წარმოდგენის მიზნით ანალიზური აღრიცხვით

გამოყენებულია მისი იდენტიფიცირება თანხების მიმღების, წარმოშობის წლების, საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად, ხარჯების კატეგორიების მიხედვით.

შემოსავლები გადასახადებიდან, გრანტებიდან და სხვა, შენიშვნა N14 _თან დაკავშირებით სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება

არაგაცვლითი ოპერაციები, მათ შორის სასაქონლო ფორმით, მიღებული შემოსავლების აღრიცხვა წარმოებს დარიცხვის მეთოდით, იგი იწარმოება **სსბასს 23 – „შემოსავალი არაგაცვლითი ოპერაციებიდან“**, საფუძველზე. შემოსავლები აღიარდება, როდესაც სავარაუდოა ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალის მიღება და მისი საიმედოდ შეფასება შესაძლებელია. შემოსავლად აღიარება ხდება უპირობო მოთხოვნების წარმოქმნის შემთხვევაში. არის შემდეგი სახის შემოსავლები არაგაცვლითი ოპერაციებიდან:

1. შემოსავლები შიდა მიმდინარე და კაპიტალური ტრანსფერებით - საბიუჯეტო დაფინანსება;
2. ფულადი და სასაქონლო ფორმით მიღებული გრანტები ;
3. შემოსავლები გარე ტრანსფერების სახით კერძო სექტორიდან უსასყიდლოდ აქტივების მიღებით და პირგასამტეხლოები საკუთარი სახსრებით განხორციელებულ სამეურნეო ოპერაციებზე ხელშეკრულების პირობების დარღვევისთვის.

შემოსავლები გაცვლითი ოპერაციებიდან შენიშვნა N15 თან დაკავშირებით სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება

გაცვლითი ოპერაციებისა და მოვლენების შედეგად წარმოშობილი შემოსავლის აღრიცხვა დარიცხვის მეთოდით წარმოებს **სსბასს 9 – “შემოსავალი გაცვლითი ოპერაციებიდან”**, განსაზღვრული წესის და მოთხოვნების მიხედვით.

გაცვლითი ოპერაციით მიღებული შემოსავლების კლასიფიცირების კრიტერიუმად გამოყენებულია საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაცია.

გაუფასურების ხარჯები და გაუფასურების უკუგატარებით შემოსავლები შენიშვნა N16 თან დაკავშირებით სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება

აქ ასახულია ძირითადი აღირიცხება ძირითადი აქტივების გაუფასურების შედეგად წარმოქმნილი ხარჯები სხვა ეკონომიკური ნაკადებიდან და მატერიალური მარაგების ღირებულების შემცირების, გაუფასურების ხარჯები.

დარიცხული ხარჯები, გრანტები და სუბსიდიები_შენიშვნა N17 თან დაკავშირებით სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება

მომსახურების მიღების ოპერაცია ხორცილდება ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით (როცა მომსახურების საფუძველია ხელშეკრულება) ან/და მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული პირობებით (როცა მომსახურების საფუძველია კანონმდებლობა). ხელშეკრულების საფუძველზე მომსახურებით ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდებში, რომლებშიც ხდება მომსახურების

მუნიციპალიტეტის ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით, წარმოდგენილია როგორც საოპერაციო ხარჯები და კლასიფიცირებულია საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად. ის იყოფა როგორც მიმდინარე ხარჯებად და წინა წელს აღიარებული ნაშთებიდან გასაწევ ხარჯებად. ხარჯები აერთიანებს საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრულ შრომის ანაზღაურების ხარჯებს, საქონელსა და მომსახურებას, გრანტებს, გარე ტრანსფერებსა და სუბსიდიებს, სხვა ხარჯებს და სოციალური უზრუნველყოფის ხარჯებს. გარდა ამისა, აღნიშნულ კატეგორიაში მოცემულია ისეთი ხარჯები, როგორებიცაა შიდა ტრანსფერები, ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები, საეჭვო მოთხოვნების/ღირებულების შემცირების/გაუფასურების ხარჯები, არაფინანსური აქტივების გაყიდვებიდან მიღებული დეფიციტიფინანსური ხარჯები.

შენიშვნა 21-ში – ფაქტობრივი თანხებისა და საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობებიდან წმინდა ფულადი სახსრების მოძრაობის შეჯერება (შედარება) – აისახება ინფორმაცია ბიუჯეტის საკასო შესრულებასა და ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ შესაბამისი საქმიანობების მიხედვით, ასევე განსხვავებებზე ბიუჯეტის ფაქტობრივ თანხებსა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების ფაქტობრივ თანხებს შორის, შედარების მეთოდის საფუძველზე.